№ 116 ივნისი 4, შაბათი — 1888 — ივნისი 4, შაბათი № 116

# ივერია

სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888 — 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

სურათებიანი

## ვეფხის-ტყაოსანი

მეიროფას ედაში,

გამოცემული

ზ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაბარება, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—3)

ქართული თეატრი

კვირას, 5 ივნისს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

## ქოროღლი

ტრაგედ. 4 მოქმედ. და 5 სურათ.,

თხზ. ზ. ანტონოვისა.

დეკორაციები და ტანთ-საცმელი ახალია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ტფილისი, 3 ივნისი

### მოძრავი სკოლები

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ბ-ნმა პ. უმიკაშვილმა წარმოსთქვა, რომ კარგი იქნებოდა, ჩვენს «საზოგადოებას», საცდელად მაინც, გაემართა ესრედწოდებული „მოძრავი სკოლებიო". იქნება ჩვენში ბევრმა არც-კი იცის, რა არის „მოძრავი სკოლა". ამიტომ, ვგონებ, ურიგო არ იქნება მოვაგონო მკითხველებს ერთი ჩემი შენიშვნა, რომელიც დაბეჭდილი იყო „დროებაში" ამ შვიდირვა წლის წინად მოძრავის სკოლების შესახებ...

იქნება ამ სკოლების გამართვის სურვილი გავრცელდეს ჩვენს საზოგადოებაში, იქნება ეს აზრი შეესაბამოს ჩვენს ცხოვრებას და ამ გვარის სკოლების გამართვამ ჩვენში ცოტაც არის წინ წასწიოს სწავლა-განათლების საქმე.

ერთი საშუალებათაგანი, მოძრავის სკოლების გამართვაა; მოძრავი სკოლა იაფადა ღირს და ხალხში სწავლას ავრცელებს არა ნაკლებ მუდმივის სკოლებისა. შვეცია-ნორვეგიაში, ფინლიანდიაში ესეთი სკოლები ძალიან ხშირია, და მერე რომელ ქვეყანაშია იმდენი წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, რამდენიც ამ ქვეყნებში! შვეცია-ნორვეგიას „წერა-კითხვის მცოდნე გლეხთა სამეფოს" უწოდებენ.

რა არის „მოძრავი სკოლა"? ეს სჩანს სახელ-წოდებიდგანვე. ეს ისეთი სკოლა არის, რომელშიაც შეგირდები-კი არ მიდიან მასწავლებელთან, არამედ მასწავლებელი მიდის შეგირდებთან. რადგანაც ამ სკოლებს საგნადა აქვსთ მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელება, ამიტომ ჩვენ მათ ბევრს ვერას მოვსთხოვთ და ბევრი საჭიროც არ არის. ამ სკოლამ რომ ყმაწვილს წერა-კითხვა დაასწავლოს, გადასცეს უსაჭიროესი ცნობები სადმრთო სჯულიდამ, შეაჩვიოს ანგარიშს, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს დამოუკიდებლივ გაგრძელება სწავლისა, მაშინ ამ სკოლის საგანი მიღწეული იქნება. დანარჩენი უნდა შეასრულოს განსაკუთრებით ამისთანა ყმაწვილებისათვის გამოცემულმა წიგნებმა.

თუ ჩვენ როდისმე მოგვიხდება მოძრავის სკოლების გამართვა, უნდა გამოვიკვლიოთ და შევადგინოთ ამ გვარ სკოლების წესები ადგილობრივის თვისებისა და ხალხის მოთხოვნილებისადა გვარად. ახლა ვიტყვი მხოლოდ, თუ საერთოდ რა ხასიათისანი არიან ეს სკოლები.

ერთს მასწავლებელს სამგანა აქვს გამართული სკოლა. რადგანაც ვერც შეგირდები და ვერც მასწავლებელი ვერ იშრომებენ განუწყვეტლად თორმეტის თვის განმავლობაში და გარდა ამისა დღესასწაულებშიაც სწავლა არ არის, ამიტომაც სწავლა გრძელდება მხოლოდ 36 კვირა, ანუ 216 დღე. ამ დროს მასწავლებელი ჰყოფს სამს ნაწილად, ამ გვარად: 10 კვირა მასწავლებელი მუშაობს პირველს ადგილში და იმდენს ასწავლის თავის მოწაფეებს, რომ იმათ შეეძლოთ სწავლა უმასწავლებლოთ გააგრძელონ. ამ მოწაფეებს აძლევს საქმეს, უნიშნავს, რა უნდა ისწავლონ, რა გაიმეორონ, და თითონ-კი მიდის მეორე ადგილს, სადაც იგი ასწავლის კიდევ 10 კვირას. აქაც იმდენს ასწავლის, რომ მოწაფეებს შეეძლოთ თავის თავად მუშაობა და აქედამ ბრუნდება ისევ პირველს ადგილს ყმაწვილების გამოსაცდელად. აქ რჩება 2 კვირა და მერე მესამე ადგილს მიდის, სადაც ათი კვირა რჩება და ასწავლის ისე, როგორც პირველში და მეორეში. აქედამ მასწავლებელი 2 კვირით ბრუნდება მეორე ადგილზე, სადაც მოწაფეებს ამეორებინებს და ასრულებინებს სწავლას, და ბოლოს 2 კვირითვე ბრუნდება მესამე ადგილზედ. ამ სახით ყმაწვილებმა შეიძლება იმდენი ისწავლონ, რომ შეეძლოთ დამოუკიდებლივ გაგრძელება სწავლისა, მეტადრე თუ გამართული ექნებათ სოფლის ბიბლიოთეკები. ზოგი მათგანი-კი, თუ მოინდომებენ, შევლენ მუდმივს სკოლებში და ისწავლიან ერთად იმ ყმაწვილებთან, რომლებსაც მთელი წელიწადი უსწავლიათ. რადგანაც ამ სკოლებს განსაკუთრებითი ხასიათი აქვსთ, ამიტომ მათთვის უნდა იყოს შედგენილი განსაკუთრებული სახელმძღვანელოები და განსაკუთრებული პროგრამები.

რ. ჯაჯანაშვილი

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, ხუთშაბათს, ლორთქიფანიძის როტონდაში საყმაწვილო დღესასწაული — „მაისობა" იყო დანიშნული. ყმაწვილებს დილის ცხრა საათზედვე თამამშოვის ქარვასლასთან და ვარანცოვის ძეგლის ახლო ცხენის რკინის გზის რამდენიმე ვაგონი ელოდდათ. როტონდის გამგე ი. ბაქრაძე განცხადებებში ათას გვარს გასართობს უქადდა წამსვლელთ. განცხადების წაკითხვაზედ თითქმის ყველა ალტაცებაში მოვიდა, ყველა იმას ამბობდა, რომ ღმერთმა უშველოს ლორთქიფანიძესა და იმის ხელ-ქვეითთ, მართლა რომ კარგი რამ მოუფიქრებიათ და მოუსაზრებიათო. ყმაწვილები ჩვენს ქალაქში საზოგადოდ, გასართობის სიმცირით, ძალიან დაჩაგრულები არიან და კიდეც ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ყველამ სიხარულით მიიღო ეს ამბავი და დიდძალი ხალხი მიაწყდა თვითონ დღესასწაულსაც. მაგრამ როგორ მოსტყუვდნენ! ერთი რიგიანი გამგებელი და მოწესე არა ჰყვანდათ დღესასწაულზე, რომ ყმაწვილები რიგზედ გაერთოთ და დაპირებული რიგზედ შეესრულებინათ. ორიოდე კაცი დაფაცურობდა, მაგრამ ისე უშნოდ, ულაზათოდ ეკიდებოდნენ საქმეს, რომ თითქმის ყველანი უკმაყოფილონი დაბრუნდნენ. თვითონ ბ-ნი ბაქრაძეც, დღესასწაულის გამგე და მოწესე, თავის დონეზედ არ იყო, და ან რომ ყოფილიყო კიდეც, მარტო ის რას გააწყობდა. იმდენი წვრილ-ულვაშა კაცი რომ შეიკრიბოს, ჯერ იმათი რიგზე დაწყობა და თავდარიგია ძნელი, არამც თუ ცოცხალისა და ცელქის ყმაწვილებისა, რომელნიც ერთს წუთს არა დინჯდებოდნენ და არა სწყნარდებოდნენ. პირ-დაღებული ბავშვები გროვა-გროვა ხან ერთს ალაგს მიაწყდებოდნენ ხოლმე, ხან მეორე ალაგს, მაგრამ ადამიანი პატრონი არ იყო და ამიტომ გართობის მაგიერ თითქმის ძიძგილაობაში გაატარეს მთელი დილა. ვისურვებთ, რომ შემდეგში, თუ კიდევ გაჰმართეს ამისთანა სეირნობა ყმაწვილებისათვის,— და რომ კიდევ გაჰმართავენ, ეჭვი არა გვაქვს, რადგან დიდ-ძალი შემოსავალი ჰქონდა

## ფელეტონი

### სვანების საიქიო

(ეთნოგრაფიული წერილი)

საიქიო სვანებს თავისებურადა აქვსთ წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, დაფარული მწვანე და მუდამ ნორჩის ბალახით. ზემოდამ ცა აფარია, აქვს ერთი კარი სულების შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ, სვანურიდამ რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ, კარგის სულისა და ცუდის სულის კაცები (ზოჩა ი ხოლა ლაქვნა მაარე) ამ კარში შედიან. იქ-კი ცხონებული კარგს „ლაქუნთესკენ" (სულის ადგილი, ან სასულეთი) უხვევს, წაწყმენდილი-კი — გლახა „ლაქუნთესკენ". კარგი სასულეთი, ან ქართულად სამოთხე, ამ ნაირად არის მოწყობილი: როგორც ნათქვამია, გაშლილია ტრიალი მინდორი; შუაში ბრძანდება ქრისტე, რომელსაც წინ უდგას გრძელი და მუდამ აულებელი ტაბაკი, სხვა-და-სხვა სანოვაგით სავსე. იქაურობას მზე ანათებს; სადაც ქრისტე ბრძანდება, იქ უფრო გაბრწყინვებულია მზით და ამიტომაც ხალხი ეძახის „მ ქაარს" (მზიანი). ქრისტეზე დაშორებული ადგილები სამოთხისა მკრთალად არის განათებული, თითქო იქ მზე ღრუბლებიდამ იყურებოდეს და ამიტომ იმ ადგილს ჰქვია «მულიირ რიჰაარ» (მკრთალი სინათლე). ხორაგით სავსე ტაბაკს შუაზე ქრისტე უზის, აქეთ-იქით ცხონებულნი. როგორც ქრისტე, ისე სულნი მიცვალებულთა ჰკმაყოფილდებიან ყურებით, ხორაგის დასუნვით, რადგანაც აქ სმა-ჭამა არ შეიძლება. თვითოეულს სულს მიცვალებულისას რომელიც ღირსი გამხდარა ქრისტეს ტაბაკის მონაწილეობისა (ქრისდეე ტაბაგდუვ ჯიგად), წინ უწყვია საჭმელი იმის ჭირისუფალთაგან, ან თავისს სიცოცხლეშივე თავისის ხელით დამზადებული საკურთხი და სრული იმისი საკუთრებაა; მიზიარ-მოზიარება საკურთხისა, ან ნაკურთხ სანოვაგისა აქ იშვიათია, თუმცა ახლო ნათესავებში არც უმისობა არის. ეს-კია, რომ თვით გაჭირებული სული უფრთხის სხვის სამაღლო საკურთხს, რადგანაც ერთი რომ თავ-მომწონე სულისათვის ეს, ცოტა არ იყოს, სასირცხვილოა და შეორეც საყვედურს გამოიწვევს იმისაგან, ვინც თავის წილს საკურთხს უზიარებს.

მიცვალებულთა სულნი, წაწყმენდილნიცა და ცხონებულნიც, სვანებს წარმოდგენილი აქვსთ, როგორც ლანდები. იმათ ის ტანისამოსი აცვიათ, რომელიც ჩაჰყვათ საფლავში და ან ის, რაც შემდეგში ეკურთხათ, თუ-კი ეს უმჯობესია. თუ მიცვალებულს რამდენჯერმე ეკურთხა ახალ-ახალი ტანისამოსი, მაშინ ამ ახალს თვითონ ჩაიცვამს და გამონაცვალს უჭირისუფლო, გაჭირებულს სულს გარდასცემს „მადილი გუულა" (მადლის გულისათვის). ორი წყვილი ტანისამოსი მიცვალებულისათვის საჭიროა და ჭირისუფლებისათვის სავალდებულო: ერთი, როგორც ნათქვამია, საფლავში უნდა ჩაჰყვეს და მეორე შემდეგში ეკურთხება, თუ კაცმა თავისს სიცოცხლეშივე არ იკურთხა ეს მეორე წყვილი ტანისამოსი. რაც ამაზე მეტი იქნება, ის სასიამოვნოა მიცვალებულისათვის და სარგო ჭირისუფლებისა, რადგანაც მადლიანი სული მაგიერს სიკეთეს გარდაუხდის ჭირისუფალს, რაც ქვემოდ იქნება ნაჩვენები. მამაკაცს საიქიოსაც, რასაკვირველია, თან ახლავს ყველა იარაღი, დედაკაცს—თავის სამკაული. მიცვალებულთა სულები სასულეთში, ამ ტრიალს მინდორში, როცა უნდათ დასეირნობენ, როცა უნდათ ტაბაკს უსხედან და ქრისტეს „ყურებით სძღებიან" (ქრისდეე ლისგდინ იბზიხ) და ეს შეადგენს იმათს ნეტარებას. ერთმანეთში მუსაიფობენ დაბალის ხმით, ერიდებიან ყოველს გვარს ხმაურობას. ხშირადა აქვსთ მუსაიფი თვით ქრისტესთანაც. ეს გახლავს სვანების სამოთხე, სადაც განისვენებენ „სულნი მართალთანი", საღმრთო წერილის სიტყვით.

კარგის სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადი ჰსუფევს. (მუშვირ უტკვინ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა (ფისემი გვიბ). ეს არის გლახა სასულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუნ). ეს არის სამყოფი წაწყმედილ სულებისა; იგინი ვერა ჰხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს. ზოგის აზრით, საკურთხი ამათაც მოსდით, მაგრამ ყველაფერი უშნო და უგემურია, რადგანაც სიბნელეში უნდა მოიხმარონ (სვანს დიდ სირცხვილად მიაჩნია ამ ქვეყნადაც სიბნელეში სმა-ჭამა). ზოგის აზრით, ამათთვის დამზადებული საკურთხი ქრისტეს განკარგულებით ურიგდებათ იმ ცხონებულს სულებს, რომელთაც ამ ქვეყნად ჭირისუფალი არავინ დარჩენიათ, რომ საკურთხი დაუმზადოს თავის დროზე. სვანებს სხვათა შორის ისიცა სწამთ, რომ, თუ ჭირისუფალმა საკურთხი გაუხშირა წაწყმედილს სულს *), უკანასკნელს ქრისტე შეუნდობს ცოდვებს და სამოთხეში გადიყვანს. ესევე შესაძლებელია, თუ ცხონებულმა სულებმა შესთხოვეს ქრისტეს, რომ რომელიმე წაწყმედილს სულს შეუნდოს ცოდვები (ქრისდე ლოხხვააშნი, ლახსარეინი). ფისის ტბაში ჩაცვენულნი არიან მირონის გამტეხნი.

მკითხველი ჰხედავს, რომ სვანების ჯოჯოხეთი ან სასულეთი ისეთი სა-

*) წაწყმედილ სულად გთარგმნი სვანურ: „ქვინი ლითვეფ"-ს, თუმცა პირდაპირ „ქვინი ლითვეფ" ჰნიშნავს ს უ ლ ი ს და კ ა რ გ ვ ა ს. მაშასადამე, წაწყმედილი სული იგივე დაკარგული სულია.

ლორთქიფანიძეს ამ ხელად, და საჭიროც არის გამართვა—უფრო რიგიანის თავდარიგით დაუხვდნენ მისულს პაწია ყმაწვილებს, უფრო მეტი გამგენი და მოწესენი იყოლიონ და უბრალო სირბილსა და აქეთ-იქით წყვეტებაში არ დაჰქანცონ ბავშვები. ამ ჟამად შესანდობრად მხოლოდ ის-ღა აქვსთ, რომ ახალი საქმე იყო და ახალს საქმეს ყოველთვის უფრო დიდი გაძღოლა უნდა.

*** გუშინ-წინ, ამაღლებაზედ, დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა სოლოლაკში, ამაღლების ეკკლესიაში. თითქმის ციმციმ დილიდგან დაწყებული კარგა ბინდამდის მლოცველი რიგ-რიგობაზედ მიდი-მოდიოდა. განსაკუთრებით დიდ-ძალი იყო ყმაწვილი, გასათხოვარი ქალობა, რომელნიც ზედის საცდელად გამოეყვანათ.

*** «ივერიის» მე-115 №-ში დაბეჭდილი იყო, რომ „მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალების საზოგადოება“ მეორედ გამართავს შაბათს, 4-ს ივნისს, შუადღის შემდეგ, ყმაწვილების გასართობს სეირნობასაო. ეხლა ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სეირნობა გამართული იქნება შაბათს-კი არა, არამედ კვირას, 5-ს მაისს.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ საჯავახოს რკინის გზის სადგურზედ ძალიან შეწუხებულნი არიან ყველანი, ვინც-კი ამ გზით რაიმე საქონელს, ან ბარგს ჰგზავნის სადმე, განსაკუთრებით-კი ზარალდებიან გურიის წვრილმანი ვაჭრები. საქმე იმაში გახლავსთ, რომ რკინის გზის სადგურზე საქონლების საწყობი არ არის, არც გაკეთებას აპირობენ, მგონი, და ბარგის აქეთ-იქით გზავნას-კი კისრულობენ. ნაკისრს ბარგსა და საქონელს გარეთ, ცის ქვეშა ჰყრიან და ამ უამინდობით საშინლადა სველდება და ოხრდება. საკვირველია, ისე როგორ გაუჭირდა გზის გამგეობას ამ ერთის უბრალო საწყობის გამართვა, რომ ამდენს ხანსა ვსთხოვთ და ჩვენი მუდარა არ შეისმინა. თუ მაინც-და-მაინც საწყობის გამართვა არა სურსთ, მაშინ საქონელს ნუღარ მიიღებენ გასაგზავნად, პირ-იქით, გაოხრებისათვის ფულს ნუ ახდევინებენ საწყალს ხალხსა და ის იქნება. მაშინ ალბად, როგორც იქნება, სხვა გზას ვიპოვნითო.

*** დ. საჩხერიდგან გვწერენ შემდეგს იშვიათს ამბავს: 26 მაისს საჩხერეში ერთმა გლეხის ქალმა შობა უცნაური ვაჟი. ეს ვაჟი დაიბადა მკვდარი და, როგორც ეტყობა, შვიდის თვეისა უნდა იყოს. ბავშვს ყველა ასო ჩვეულებრივი აქვს, გარდა თავისა; თავზე-კი ორის თვალის მაგივრად ერთი აქვს; ეს ერთი თვალიც სწორედ ზედ შუა შუბლზედ აზის. პირსა და თვალს შუა კარგა მანძილია, ასე რომ თითქმის ორის თითის დადება იქნება. თვალი არის ერთს უპეში ჩამჯდარი; ახლოს რომ დააკვირდებით, ეტყობა, რომ შუაზე ზევიდამ ქვევით თეთრი ზოლი აქვს, რომელიც ამ თვალს შუა ჰყოფს. სჩანს, რომ ორი თვალი ერთად უნდა იყოს შეერთებული.

სწორედ თვალს ზევით თვით თვალის უპეზე აქვს გამოშვერილი ინდაურის ჩიჩვირივით ხორცი, ბავშვის თითის სიგრძე, მაგრამ უფრო მსხვილი; თავზე რომ დაჰხედავ ამ თითის მგზავსს ხორცს, გახვრეტილი არის და არა აქვს არც ძვალი და არც ხრტილი. ეს ცხვირის მაგიერი უნდა იყოს. ამას გარდა პირში რომ ჩახედოთ, შენიშნავთ, რომ ენა ზედ სასაზე აქვს მიბმული წვრილის ძარღვის ძაფებით, არა ჩვეულებრივად. ახლა ამ საოცარის ბავშვის სხეული არის აქაურს ავადმყოფთა თავ-შესაფარს სპირტიან ბანკაში ჩასმული და მალე გაეგზავნება ტფილისში საექიმო სამმართველოს.

აქაურმა ექიმმა ფოტოგრაფს ბ-ნს აბაშიძეს გადაალებინა სურათები.

*** ხაშური: ყველამ იცის, რამდენად შესანიშნავია ხაშურის სადგური რკინის გზაზე. ხაშურს ერთად-ერთი რიგიანი გზა აქვს და ისიც გზატკეცილი. დანარჩენი გზები-კი, რომელნიც ხაშურს სხვა სოფლებს უერთებენ, ღმერთმა შეინახოს. ზამთრობით სოფლელები სადგურამდე ურმით მიდიან. შარშან მაზრის უფროსის განკარგულებით, როგორც იყო, გააკეთეს ერთი გზა, სხვა გზებს-კი არა ეშველა-რა. საჭიროა, ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება ათხოვოს გზებს, თორემ მცხოვრებლები ძალიან შეწუხებულნი არიან.

თვით სადგურზე, საქონლის საწყობთან, კაცს არ გაევლება, განსაკუთრებით ავდარსა და ზამთარში. ისეთი ტალახი იცის ხოლმე, რომ საქონლის მიტანა საწყობში ძალიან გაჭირებულია. უნდა ნახოთ, რა ტანჯვაშია ხარ-კამბეჩი და ფურგუნის ცხენები.

*** კაკაკის მაზრა: ბარის ოსეთის თითქმის ყველა სოფლებში დროებით ჩამოსახლებულნი არიან ზოგიერთი მთის ოსებიცა, მომეტებულ ნაწილად სილარიბის გამო. ეს საბრალოები თხუთმეტი-ოცი წელიწადია, რაც სცხოვრობენ ბარის ოსებში და ყველა სასოფლო გადასახადს იხდიან, თუმცა ადგილ-მამული არც იქა აქვსთ და არც აქ. ეხლა, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ყველა სოფლებში ბრძანება მიუღიათ, რომ რაც დროებით მცხოვრებნი არიან, ყველანი დაითხოვეთო. ეს კი ნამდვილად ვიცით, მაგრამ ის-კი არავინ იცის, თუ სად უნდა წავიდნენ ის საბრალოები... 22-ს მაისს სოფ. ხუმელაგაში გამოუცხადეს ეს ახალი ბრძანება დროებით ჩამოსახლებულებს და ერთი კვირა ვადა დაუნიშნეს: ერთს კვირას შემდეგ თუ თქვენის ნებით არ წახვალთ, ძალით გაგისტუმრებთო. ამ საცოდავებს შუა დიდი ჩოჩქოლი ასტყდა: სტირიან თავიანთ ბედის-წერას. ზოგს მათგანს რვა-ცხრა სული ჰყავთ შესანახი და მიწა-წყალი-კი არსადა აქვთ. ვაი-ვაგლახით ნაქირავებ მიწებზე ცოტაოდენი სიმინდი დაუთესიათ და იმასაც თავი უნდა დაანებონ.

*** სოფ. კავთისხევი: 19-ს მაისს, აქაურს დღესასწაულის დღეს, განზრახვა აქვთ წარმოდგენა გამართონ. უნდა წარმოადგინონ „არსენა“ ბ-ნის მოჩხუბარიძისა.

*** 2 ივნისს სამსახურიდგან გამოსული ჯარის-კაცი ივანე პილატოვი მდ. მტკვარში ბანაობდა და დაიხრჩო. დამხრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

*** 3 ივნისის ღამეს პოლიციის მე-7 ნაწილში, წმ. ბარბარეს გზაზედ, ოთხი უცნობი ავაზაკი დაეცა მიმავალს პოლკოვნიკის მდივანის იმერელს მზარეულს იორდანეს და წაართვეს სხვა-და-სხვა ნივთები 200 მანათისა. დამნაშავეთა საპოვნელად ღონეა ნაღონი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. ზუგდიდი, 29 მაისი. დაბა ზუგდიდი გაშენებულია სამეგრელოს თავად ნიკოლოზის საკუთარს ხარჯზე, რომელიც სამაიორატო არის. საკმაო დრო და ჟამი გავიდა მას შემდეგ, რაც ზუგდიდის მცხოვრებლებმა ითხოვეს იქ, სადაც ჯერ იყო,—რომ მიეცათ მათთვის ნება იმ ადგილის შესყიდვისა, რომელიც იმათ ეჭირათ. წელს, როგორც იყო, მოეღო ბოლო ამ გაჭიანურებულს, მივიწყებულს საქმეს, რის გამოც ეს წელიწადი თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს ზუგდიდის მატიანეში. ამ თვის შუა რიცხვებში ჩამოვიდა აქ ბ-ნის ქუთაისის გუბერნატორისაგან გამოგზავნილი და რწმუნებული მოხელე, რომელიც დაწვრილებით მოელაპარაკა მცხოვრებლებს და გამოიკვლია და გამოიძია ყოველივე, რაც შესყიდვას შეეხება. შემდეგ შეადგინა კანონისამებრ ნასყიდობის ქაღალდი, რის შემდეგ მცხოვრებლებმა ამოირჩიეს თერთმეტი კაცი ადგილის დამფასებელ კომისიად. კომისიის მოვალეობა არის დააფასოს სინიდისიერად ადგილი, სადაც ეზო, სახლ-კარი და დუქნებია გაშენებული; ერთის სიტყვით, უნდა შეიტყოს, ვის რამდენი და რომელი ადგილი აქვს მიჩენილი, და ამისდა მიხედვით უნდა გაანაწილოს მთელი გარდასახადი, რომელიც მცხოვრებლებმა ხაზინაში უნდა შეიტანონ მიწის გამოსასყიდად. ვისურვებთ მხურვალე გულით, რომ კომისიის წევრები ბეჯითად მოეკიდნენ ამ საზოგადო, საერთო და რთულს საქმეს და რიგიანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

ზემოხსენებული ამბავი, რასაკვირველია, დიდად სასიამოვნოა, რადგანაც, იმედია, ცოტათი მაინც ფერს უცვლის ზუგდიდის ცხოვრებას. ადგილის საკუთრებად შეძენის შემდეგ მცხოვრებლები ქვითკირის სახლებს და დუქნებს გააშენებენ და ამით ქალაქს დაამშვენებენ; აგრეთვე დიდ-ძალი სოფლის ხალხი გადმოსახლდება და ყოველივე ეს გააცხოველებს და გააფხიზლებს ზუგდიდს და ალებ-მიცემობასაც უფრო ფრთას შეასხავს, რითაც ეხლაც განთქმული არის ეს დაბა.

ეს სასიამოვნო ამბავი გაცნობეთ და ეხლა ნება მიბოძეთ ერთი არა სასიამოვნოც გიამბოთ: ჩვენი მაზრა, რომელშიაც 17 ათასი მკვიდრი ითვლება, დ. ზუგდიდითურთ ამ ჟამად უექიმოდ არის. აქაური მაზრის ექიმი აგერ რამდენიმე თვეა, რაც გადაიყვანეს აქედგან და კიდეც წავიდა. იმის მაგივრად დროებით დანიშნეს სხვა, რომელიც ეს მეორე კვირაა, რაც წავიდა, რადგან ისიც გადაიყვანეს სხვაგან. დავრჩით უექიმოდ და ვინ იცის, რა მოგველის. ზუგდიდის მაზრა მაინცა და მაინც ნაქები არ არის კარგის ჰავით; ამ ზაფხულს-კი, როდესაც ციება თითქმის საერთო სენად იქცევა, მთელის მაზრის უექიმოდ დატოვება სწორედ რომ დიდი უბედურება იქნება. ზუგდიდში არამც თუ მარტო ერთს სამაზრო ექიმს ექნებოდა მუდმივი საქმე, არამედ ორსა და სამსაც დიდი გარჯა დასჭირდებოდათ, რომ ავადმყოფთ აუვიდნენ. სასურველი და სანატრელია, რომ ექიმი მალე გვეღირსოს და გაჭირება თავიდგან ავიცილოთ.

ქუთათური დათიკო

---

შინელება არ არის, როგორადაც იმას აგვიწერს ხოლმე ჩვენი სარწმუნოება, ე. ი. სვანეთის სასულეთში არ არის „ცეცხლი გეენიისა“ და დაუშრეტელი კუპრის ტბა-მდინარეები, ქაჯ-ეშმაკთა ლეგიონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. შესანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული-წმიდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასოდეს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს ეძახის „სალირბათ“ (საღმრთო) და მეორეს „საქუნ“ (სულის საკურთხი).

არასოდეს სვანი მამა ღმერთს არ შესთხოვს მიცვალებულის სულის ცხოვნებას, ეს თითქმის იმისი საქმე სულ არ არის.

სვანების აზრით, მომაკვდინებელი ცოდვა არის მარტო ერთი მირონის გატეხა (დასთან, დედასთან და დაახლოვებულს ნათესავთან შეცოდება სვანეთში არავის გაუგონია და ამიტომაც საიქიოს იმის სასჯელზე ლაპარაკი არსად არ არის), მარტო ამათთვის არის განმზადებული ფისის ტბა. ამ ცოდვის ჩამდენნი საუკუნოდ უნდა იტანჯებოდნენ ფისის ტბაში და ვერაფერი საკურთხი იქიდამ ვერ იხსნის იმათ. დიდი ცოდვა არის კაცის კვლა და ადგილის საზღვრის სხვის ადგილში შეწევა. პირველის ცოდვის ჩამდენი საიქიოს ისჯება იმითი, რომ მოკლულის სული მუდამ უკან დასდევს მკვლელს, დაჰბღავის და ამითი უწუხებს სულს. მკვლელი სცდილობს დაემალოს სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ეს ქრისტეს ბრძანებაა. სხვის ადგილების საზღვრების მიმთვისებელი, მომპარავი ამ ნაირად ისჯება: იმას მუდამ ჰკიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერებლივ უნდა ირბინოს. საზღვრის პატრონის გარდა ყოველის მიცვალებულის სული მოვალეა დაარტყას მიწით სავსე გოდორს ჯოხი, რომ მიწა გამოაცვივნოს. ამ ცოდვის ჩამდენმა სულმა სულ უნდა ირბინოს, რომ სადმე შეჩერდეს; სხვები ერეკებიან, რომ არ შეისვენოს. ამ ცოდვისაგან ხსნა ადვილი საქმეა. საჭიროა სული ან სიზმარში, ან ცხადლივ (რის მაგალითებიც ბევრი გაგვიგონია) გამოეცხადოს ჭირისუფალს, ან გარეშეს ვისმე და გააგებინოს თავისი ცოდვა. ჭირისუფალი მაშინვე უსწორებს საზღვარს იმ კაცს, რომლის მიწაც მიითვისა მიცვალებულმა. ამით იმისი სული დაიხსნება ტანჯვისაგან. ცოდვად ითვლება ქურდობა, მრუშება, ცილის წამება, პირუტყვის ცემა-დამშევინება, ნამუშევრის წახდენა, უქმე დღეებში მუშაობა, უმწეო ადამიანის დაჩაგვრა და გაჭირების დროს არ-შველა, დიდ-მარხვის გატეხა და სხვა... სასჯელი ამა და ამათ მგზავსის ცოდვებისათვის ისეთი მსუბუქია, რომ სვანებს აღარ აშინებს. მოხსენებულ ცოდვების ჩამდენი კაცი საიქიოს იმითი ისჯება, რომ ქრისტესთან ახლო მისვლა და იმის აულებელ ტაბაკთან ჯდომა არ შეუძლიან; საკურთხი-კი მოუდისთ და სასულეთის განაპირას სადგურობენ.

საიქიოს არ არის სმა-ჭამა. თუმცა სვანი იმის მონათესავე ღარიბს და კარგის არ დამხსოვნეს ხშირად უსაყვედურებს შემდეგის სიტყვებით: იმდენი ღმერთები შენ გაგიწყრეს, რამდენი შენიანი ცოცხალი და მკვდარი მე გამიძღიაო, მაგრამ აქ მკვდრების გაძღომა მაყვედრებელის მხრით სხვა არა არის-რა, გარდა რაიმე საკურთხისა არც ხორციელი ცოლ-ქმრობა და მუშაობა არის საიქიოს. დანარჩენი თითქმის იგივე ცხოვრებაა, რაც ამ ქვეყანაში, იგივე მხიარულება და მწუხარება, იგივე ნათესაობა და მოყვრობა და ნახევრად იგივე მტრობა გულში, თუმცა ჩხუბი არ შეიძლება. იქ ცოლი ქმარს იცნობს, ქმარი—ცოლს, შვილი—დედ-მამას, ძმა—ძმას, საზოგადოდ ყველა ნათესავებს. ნათესავები ერთმანეთს შველიან. ეს შველა მაშინვე იწყება, როდესაც მომაკვდავს კიდევ აქვს დრო ამ ქვეყნად ცხოვრებისა. ამ დროს საიქიოდან მოდიან მომაკვდავის ნათესავები და უჩინრად გარს ახვევიან მომაკვდავს, უცდიან იმის სულისა და ხორცის გაყრას, რომ საიქიოს გაუძღვნენ და იქ უწინამძღვრონ. მომეტებულ ნაწილად მომაკვდავი უკანასკნელს წამებში ჰბოდავს. ამ ბოდვაში ხშირად გამოურევს ხოლმე ნათესავ მიცვალებულთა სახელებს. ჭირისუფალი ამ დროს დარწმუნებულია, რომ მომაკვდავის სულის წასაყვანად უკვე მოსულან საიქიოდან და ამისათვის, თითქო თვალით ჰხედავდესო, საყვედურს ეუბნება დაუპატიჟებელს სტუმრებს (მიცვალებულთა სულებს): „რა იქნებოდა, ჩვენთვის დაგეტოვებიათ ესა-და-ეს მომაკვდავი; როცა იქნებოდა, ხომ მაინც თქვენთან უნდა მოსულიყო და განა ვერ მოესწრებოდით ამის ნახვას. თუ-კი თქვენ გინდათ იმისი ნახვა, განა ჩვენ-კი ერთი-ათად უფრო არ უნდა ვსწუხდეთ, რომ გვტოვებს?.. რაკი თქვენი არ მოიშალეთ, იქ მაინც ნურაფერს გაუჭირებთ, თორემ როცა ჩვენც მანდ მოვალთ, უსიამოვნობა მოგვივაო“. ამას გარდა ბევრს ამ გვარებს ეუბნება ჭირისუფალი საიქიოდამ მოსულს სულებს რადგან სვანს საიქიო ცხოვრება ამ ქვეყნიურ ცხოვრებასავით აქვს წარმოდგენილი, ამისათვის სიტყვით მაინც თითქო სიკვდილი არც-კი ეზარება, ნამეტურ თუ სვანს საყვარელი ვინმე მოუკვდა, რომლის განშორებაც ძლიერ დიდს მწუხარებაში აგდებს. მაგალითად, საყვარელი შვილის დამკარგავი დედა ეხვეწება ქრისტეს, მალე მიიბარე ჩემი სული, რომ ველირსო სანატრელ მიცვალებულის „ლინზორალს“ (შეყრას). როდესაც სვანს უნდა, რომ თავისი მობაასე დაარწმუნოს, შემდეგს ფიცსა ჰხმარობს: „თუ ეს ასე არ იყოს, ჩემის სიხარულის (მიცვალებულის) შეყრამაც მომშორებიაო!“ (მიშგვა ხიადლინზორალეუ ამშდახა.)

თავისუფალი სვანი

(დასასრული შემდეგ)

# უცხოეთი

საფრანგეთი. 23 მაისს იყო ის დიდი და საყურადღებო კრება, რომელზედაც პირველად დაესწრო გენერალი ბულანჟე და რომელზედაც წაიკითხა თავისი პროგრამა. გენერალი სწორედ 2 საათზედ მივიდა პალატაში. გზაზე ყვირილი არ იყო გენერლის პატივის საცემლად. დარბაზი პალატისა გავსებული იყო ხალხით. ქალები მრავლად შეკრებილიყვნენ.

გენერალმა დიდხანს იკითხა თავისი პროგრამა. დეპუტატები ხშირად აწყვეტინებდნენ კითხვას და დასცინოდნენ. ბულანჟე თხოულობდა, რომ გაუქმოთ სენატი და თანამდებობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა. ამას გარდა უნდა ვაღიაროთ, რომ ერსა აქვს უფლება გადასწყვიტოს დიდად საყურადღებო საქმეებიო.

პალატის პრეზიდენტმა სთხოვა გენერალს, რომ საპარლამენტო წესდებას ნუ გადადიხართ და ნუ აბიაბრუებთ ნურც პალატის და ნურც რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც თქვენ ზარმაცს ეძახითო.

ბულანჟემ სთქვა: რაკი ჩემს იდეალს შეასრულებს საფრანგეთი, ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანობის დარაჯი შეიქმნება და იმ სახელმწიფოთა შორის შერიცხება, რომელთაც მტკიცე მთავრობა ჰყავთო. ამაზე ფლოკემ უპასუხა: მაგ საგანზე უნდა წასვიდეთ და ბერლინში ილაპარაკოთო..

შემდეგ ილაპარაკა ბონაპარტელმა დეპუტატმა კასანიაკმა. აბა, დაუმასხეს კასანიაკს, ერთი განგვიმარტე, რას მოგვითხრობდა ცეზარიო. კასანიაკმა სთქვა, რომ პალატის თავ-მჯდომარე მიკერძვით იქცევა და კარგად ვერ განაგებს სათავ-მჯდომარეო საქმეებსაო. შემდეგ გამოვიდა ჰერცოგი ლაროშფუკო და გამოაცხადა, რომ მეც თანახმა ვარ გაისინჯოს წინადადება გენერლისა კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ, მაგრამ სხვა-შემწეობას-კი ნუ მოგვთხოვს ლეგიტიმისტებს, რადგან ეხლავე სჩანს, რომ გენერალი დიქტატურისკენ იწევდის ხელსაო.

მერე გამოვიდა ფელიქს პია, მოხუცებული სოციალისტი, და სთქვა, რომ მეც მინდა კენჭი ვყარო გენერლის წინადადებას, თუმცა-კი მაგ გენერალთან საერთო არა მაქვს-რა, იმიტომ-რომ როცა ეგ პოლკოვნიკად იყო ვერსალის მთავრობის ჯარში, ჰხვრეტავდა თოფით კომუნარებსა (აქ ატყდა საშინელი ხმაურობა და ყვირილი: „შენი ადგილი აქ არ არის, შენ კაცის მკვლელი ხარო“.) უფრო კასანიაკი უყვიროდა ასე პიასა. როცა პიამ გაათავა თავისი სიტყვა და ასე დაამთავრა: ყველა გენერალი გენერალია, როგორც მღვდელი მღვდელიაო, დაუყვირეს: „როგორც კომუნარია მუდამ კომუნარიო“. გაათავა პიამ და ასე დასცინეს: გაუმარჯოს კომუნასაო!

პიამ გაიწია ტრიბუნისაკენ, მაგრამ, ბოქაულებმა აღარ გაუშვეს. პია მაინც ჰყვიროდა: ვერსალელები არიან კაცის მკვლელებიო, იმათ დახოცეს 23,000 პარიჟელი, და კასანიაკიც იმათ შორის იყოო. მემარჯვენენი ჰყვიროდნენ: კატორღაში უნდა გაიგზავნო შენა, კატორღაშიო! ბოლოს, როგორც იყო, დაწყნარდა პალატა და წამოდგა სალაპარაკოდ მთავარ-მინისტრი ფლოკე.

ფლოკემ ბულანჟეს წინააღმდეგ ილაპარაკა, დასცინოდა ამ გენერალს, მასხარად იგდებდა და აცინებდა პალატას. „მას შემდეგ, რაც ითქვა, მგონია, ნება გვაქვს ვითხოვოთ, რომ რესპუბლიკის უმრავლესობამ თავი ერთად მოიყაროს და უარ-ჰყოს ბულანჟეს წინადადებაო“... შემდეგ ფლოკემ ასე განაგრძო: „მე მინდა ვიპოვო ის საფუძველი, რა საფუძველიცა აქვს პატივცემულს ჩვენს ამხანაგს, რომ ასე მედიდურად გვექცევა და ამაყობს, ამაყობს სწორედ ისე, როგორც გენერალი ბონაპარტე სახელოვანისა და მძლევა-მოსილის ომების შემდეგ (დიდი ტაშის კვრა ისმის ამ სიტყვების გამო). ვეკითხები ჩემს თავს, საიდამ, ვისგან მიიღო ჩრდილოეთის დეპუტატმა ის უფლება, რომელსაც ასეთის კადნიერებით და სითამამით ითხოვს, ის უფლება, რომ ვითომ მარტო მაგას შეუძლიან უყვარდეს სამშობლო, უმოძღვროს ერის წარმომადგენელთა, ადმირლებს, გენერლებს და სხვა კაცობის პატივის-მცემელთ? ვეკითხები ჩემს თავს და პასუხი-კი ვერ მიმიღია (ტაშის კვრა). არა, ერთი ვკითხავ ახლა მაგას, ვინ მისცა უფლება შეჰყოს ასწავლიდეს ყველა ერთგულს ყმას სამშობლოსას, რომელნიც თავისთვის იღვწიან და აქ-კი არ მოდიან საყოყოჩოდ და ახალის ცეზარის მანიფესტების წარმოსადგენად (ტაშის კვრა). ბოლოსა და ბოლოს ხომ ამის მეტი არა გამოდის-რა მაგის ლაპარაკიდამ. უმთავრესი აზრი გენერლისა ის არის, რომ მთავრობა სუსტია, უნდა მიეცეს მთავრობას დიდი უფლებაო; იმაზე ცუდი მთავრობა არ არსებობს ქვეყანაზე, როცა ერთი-კი არა, მთელი კრებული განაგებს ქვეყნის მართვის საქმესაო; ერი ბავშვია, რომელსაც ჰოჰინა ეპირებაო. აი ასეთია გენერალ ბულანჟეს აზრებმა ასეთი. აზრებმა, ბატონებო, ორჯელ იჩინეს ჩვენში თავი: ერთხელ ბონაპარტე პირველის დროს და მეორედ 1851 წელს ბონაპარტე მეორეს დროს. მაგრამ ნუ შესწუხდებით, ბატონებო! თქვენის ხნისა რომ იყო ნაპოლეონი, ბ-ნო ბულანჟე, იგი უკვე სამარეში იდო, ისე რომ თქვენ ნაპოლეონობა აღარ გეღირსებათ (ხანგრძლივი ტაშის კვრა. ჰყვირიან: „აბა ახლა უპასუხე, თუ კაცი ხარო“!).

პატარა ხანს უკან დაიწყო ლაპარაკი კლემანსომ. იმისმა მოკლემ და მოსწრებულმა სიტყვამ დიდად იმოქმედა პალატაზე. იმან სთქვა, რომ გენერალ ბულანჟეს გულისათვის რესპუბლიკელები ვერ დასცლიან მოედანს. დიდის ხნის ღვაწლისა და აპპარეზობის შემდეგ ხანგრძლივის ბრძოლით მოიპოვეს მათ უფლება არსებობისათვისაო. შეცდომა ყველას სჭირია და რაც შეცდომა იქნება, რასაკვირველია, უნდა გასწორდეს. ავდგეთ ყველანი, შევერთდეთ და მხარი მივსცეთ ფლოკესაო. მერე ვეღარავინ ვერ დაიწყებს ყვირილს, რომ საფრანგეთში მტკიცე მთავრობა არ არსებობსო.

ბოლოს ილაპარაკა სოციალისტმა მალიმ. თუ ბულანჟე კარგი კაცია და მართლა გული სტკივა დემოკრატიისათვის, სადა ბრძანდებოდა მაშინ, როცა, აგერ სამი კვირაა, პალატა სულ მაგ საგნების განხილვაში იყოვო. კენჭი ჰყარეს და ბულანჟე, როგორც ვიცით, საშინლად დამარცხდა.

# წვრილი ამბები

სორბონში ამას წინად მეცნიერის დიპლომი მიუციათ ქალისათვის. ეს ქალი ქ-ნი ლებლუა.

— კემბრიჯის უნივერსიტეტისაგან ლორდს ჩერჩილს მიუღია საპატიო ხარისხი უფლებათა დოქტორისა. შემდეგში აღმოჩნდა, რომ ეს ხარისხი უნივერსიტეტს თავისის სურვილით და მოწადინებით არ მიუცია ლორდისათვის. ამ უნივერსიტეტში ძველის-ძველადგანვე წესად არის, რომ თუ რომელსამე წარჩინებულის კაცის სისხლ-ხორცსამ დიპლომი მიიღო, ნება აქვს რამდენიმე სხვა კაცი დაასახელოს და იმათთვისაც მიაცემინოს ასეთივე ხარისხი. ამ წელიწადს ასეთი დიპლომი მიიღო პრინც უელსის უფროსმა შვილმა ალბერტ-ვიქტორმა და აი, ამ პრინცს მოუწადინებია, რომ ლორდს როზბერისა და ჩერჩილსაც მიეცეთ დიპლომებიო.

— ერთს შვეიცარიელს ფრანგს ფულები შემოჰკლებია და აი რა საშუალება მოუგონია ფულების საშოვნელად. გამოუცხადებია, რომ მსურველთ იმ ოცოც თუმნიან უკან ქაღალდის ფულებს გავჩვენებ, რომელიც ეს არის ეხლა იქმნა აღმოჩენილიო; ხოლო იმ პირობით, რომ მნახველთ კაცის თავზე ორი აბაზი უნდა გადამიხადონო. ამ გვარად ამ ფრანგს 800 მან. შეუკრებია. ამ ამბავში ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ის ფულები, რომლის ჩვენებაშიაც ფრანგს ფულები აუღია, ყალბი-კი არა, ნამდვილი ყოფილა.

— ვინდზორში ერთი ძველის-ძველი ზარბაზანი დაუდგამთ. ეს ზარბაზანი ზღვაში უპოვნიათ, თითქმის ასის წლის ნაგდები ყოფილა წყლის ძირში. როგორც ზედ-წარწერიდგანა სჩანს, ეს ზარბაზანი სამხედრო გემს „Lutine“-ზე ყოფილა, რომელიც 1799 წლის 9 ოქტომბერს დაიღუპა გოლანდიის ნაპირებს ახლო.

— ოცს ამერიკელს განათლებულს ქალს განუზრახავთ იმოგზაურონ ევროპასა და აღმოსავლეთში ერთის ხნიანის დედაკაცის თანამგზავრობით, რათა სწავლა დაასრულონ და ამას გარდა ზოგიერთი ცოდნა შეიძინონ. ამას წინად ეს ქალები სტამბოლში ყოფილან და ამ ქალაქის ყველა შესანიშნავი ადგილები გაუსინჯავთ და დაუთვალიერებიათ. რადგან ამ ქალებს უნდათ, რომ იმდენივენი დაბრუნდნენ, რამდენიც წავიდნენ, ამიტომ გადაუწყვეტიათ, რომ არამც და არამც არც ერთი არ გაგვათხოვდეთ, ძალიან სასარგებლო კაციც რომ გვთხოულობდესო.

— ერთის დასავლეთ აფრიკელ მეფისათვის გლაზგოუში ისეთი დიდი ქოლგა გაუკეთებიათ, რომლის ტოლა მთელს ქვეყნის ძირზე არ მოიძებნება თურმე. ქოლგა ირგვლივ $52^1/_2$ ადლი იქნება, ამ სიგრძევე ტარი აქვს და ტარის თავზედ ოქროს ბურთი. ამ ქოლგას ძირში ჩასასობენ თურმე და ქვეშ ოც-და-ათამდე კაცი იჩრდილებს.

— გერმანიის სამკურნალო გაზეთი ამბობს, რომ საფრანგეთის ელექტრიკოსი ედუარდ ვეტრონი ეძებს ისეთს საშუალებას, რომლის ძალითაც შესაძლებელი იქნება მოპირდაპირის გათახსირება და დაუძლურება. ამისათვის აი რა საშუალებისათვის მიუგნია. ცნობილია, რომ თუ ალმინიტრიტის ორთქლი ადამიანმა შეისუნთქა, ცნობას დაჰკარგავს, დაისუთება და რამდენსამე ხანს ასე იქმნება. ამ საწამლავის შოვნა ძალიან ადვილია. ვეტსონი ამბობს, რომ ყუმბარები გავაკეთოთ და ამ საწამლავით გავავსოთ. საკმარისია მხოლოდ, რომ ვესროდნეთ და მოპირდაპირის გემში შევისროლოთ რამდენიმე ყუმბარა, მაშინვე მთელი იქ მყოფი ჯარი ცნობას დაჰკარგავს და დაისუთება. ამის შემდეგ შეგვიძლიან გემი დავიჭიროთ, გამოვათრიოთ და მანამ დამინებულნი გამოფხიზლდებიან, ჩვენი ტყვეები იქნებიან კიდეცაო.

# გასართობი

უმეტესად ქალისათვის ქება, არშიყი და ლაქუცი მეორე, ამ ქვეყნიური სამოთხეა. ქებაზე არა ნაკლებ უყვარსთ მორთვა და მოკაზმვა: ნურას ასმევ და ნურას აჭმევ, ოღონდკი კარგა ჩააცვი-დახურე, რომ სადმე წასვლისას ქალები მოახედოს და ყველას თვალები დაუბნელოს. ეს კიდევ მესამე სამოთხეა, ხოლო არ ვიცით-კი, რომელ ქვეყნიური.

აი, სწორედ ერთი იმისთანა ამბავი მომხდარა პარიჟის მარულაზედ, რომელიც აშკარა მაგალითი და საბუთია ზემო თქმულ სიტყვებისათვის. ამ მარულაზე თავისის მშვენიერის ტან-ჩაცმულობით საერთო ყურადღება მიუქცევია ახალგაზრდა ინგლისელს ქალს, მისს ალენსურს. ალენსური თოვლსავით თეთრს კაბაში ყოფილა და რამდენსამე ალაგს კაბაზედ მიკერებული ჰქონია ნაზი მწვანე არშიები, თავზე ჰხურებია ვარდის ფერი შლიაპა და ვარდის ფერივე ხელთათმანები სცმია. ყოველ მხრიდგან, სადაც-კი ფეხს გადასდგამდა და გამოჩნდებოდა, ესმოდა თურმე:

— რა მშვენიერი ტანისამოსი აცვია, როგორ მორთულია, ამისთანა მოხდენილად არავინ არის ჩაცმულიო.

ამ უეცარს ქებაზე ისე თავ-ბრუ დასხმია ყმაწვილს ქალს, რომ ცნობა დაუკარგავს და უგრძნობლად დაცემულა. მაშინვე მიჰხვევიან აქეთ-იქიდგან, მოუბრუნებიათ და უკითხავთ:

— რა მოგივიდა, რა დაგემართაო?

— აჰ, თქვენ არ იცითო, უპასუხნია ყმაწვილს ქალს: ჯერ, მგონი, არც ერთი თვრამეტის წლის ქალი არ ჰღირსებია იმ ბედნიერებას, რომ პარიჟში ყველაზედ უკეთ მორთულად მიაჩნდეთო.

* *

ირლანდიის საქმეთა მდივანს ბალფურს არა სწყალობენ თურმე ირლანდიელნი და იმათი გაზეთი „United Ireland“-ი საშინელის სიტყვებით ამკობს და ახამებს. ამას წინად გაზეთი „Dublin Evening Mail“-ში მოყვანილი ყოფილა დაწვრილებით ყველა ის საკიცხავი სიტყვები, რომელიც ბალფურისათვის უძღვნია ზემოხსენებულს გაზეთს. აი ზოგიერთნი იმ რიცხვიდგან: „სისხლის მსმელი ბალფური, მეორე კრომველი, მძვინვარე, გულ-ქვა, მტარვალი, ძაღლებისა და ზიზღის ღირსი, დედაკაცის მგზავსი, სიცრუის მამა, შეშლილი, არა-ადამიანი, კაცის მკვლელი, ყველასაგან ათვალწუნებული გაუბატონი, პილატე, ქერდი, ნებიერად ცხოვრებას ჩვეული, ლომის გული, ხოლო დედაკაცის კანში მოთავსებული, მტანჯველი, უხამიანი ქვემძრომი“ და სხვ. და სხვ.

# დეპეშა

1 ივნისი

ხარკოვი. დღეს ოფიციალურად გაიმართა ტროიცკის იარმუკა — მატყლისამატყლი ნაკლებად მოაქვთ.

ორიოლი. ჩერკასის თემის უფროსს, ლივენის მაზრისას, სკუროდინს მიუსაჯეს ციმბირში გაგზავნა სხვა-დასხვა ბოროტ-მოქმედებისათვის. ხოლო ორი ხარჯის ამკრეფი ტუსაღების როტაში უნდა მისცენ.

ვენა. სამხედრო უწყებას დაუდგენია, რომ გალიციაში არ უნდა იქმნენ გადაყვანილ გალიციელი ჯარები, რომლებიც ამ ჟამად სხვა მაზრებში სდგანანო.

ავსტრიის მემკვიდრე პრინცი მეუღლითურთ მოვიდა დღეს, დილის 7-ს საათზე, სერაევოში.

ბელგრადი. გარდაიცვალა ნიშის არქიეპისკოპოსი ვიქტორი, 91-ს წლისა.

რედაქტორი გაზეთის „Великосербія“-სი კოპიარსკი უნდა დაისაჯოს ერთის წლის ვადის დამწყვდევით, რადგანაც დაურღვევია კანონი ბეჭდვის შესახებ.

ვენა. აქაური საპოლიტიკო წრეები ძალიან დაუფიქრებია და შეუწუხებია იმ ამბავს, რომელიც ბერლინში მოჰხდა. ყველა იმას ამბობს, რომ იმპერატორის მდგომარეობა თან-და-თან უფრო და უფრო საშიშოაო, მლიერმა სამინისტრო კრიზისმა და ბისმარკის უკმაყოფილებამ შეარყია სამირკველი გერმანიის ეროვნულის სისტემისა. როგორც აქაური დიპლომატები ამბობენ, თუ ვინიცობაა ბერლინში საქმე ამ რიგად წავიდა, ევროპის საქმეთა მსვლელობა სხვაფრივ დატრიალდებაო.

პოტსდამი. იმპერატორი ისეთს გაჭირებულს მდგომარეობაშია, რომ საშიში შეიქმნა საჭმლის მისაღებ მილის ჩაყენებაც. საქმე იქამდის მივიდა, რომ ექიმებმა გამოაცხადეს: თუ ეს მილი არ ჩაუყენეთ, იმპერატორის სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელიაო. ბოლოს ამაზე მეკენზიც დასთანხმდა. შაბათს საღამოს მეკენზიმ ჩაუყენა მილი ტომპონითურთ, რადგანაც სასუნთქი მილი და საჭმლის მისაღები შეუერთდა ავადმყოფს. იმპერატორს აჭმევენ განგებ მომზადებულს რძესა და ნაღებს. ამ საჭმელს თვითონ მეკენზი ამზადებს.

2 ივნისი

პოტსდამი. იმპერატორი თან-და-თან უარესს მდგომარეობაში ვარდება. დედოფალი არა შორდება ავადმყოფს. ყველა წევრნი სამეფო გვარეულობისანი ამ ჟამად პოტსდამში არიან.

ბერლინი. „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ იმპერატორს ძლიერ საშიში ნიშნები გამოაჩნდაო. სუნთქვა ძალიან გაჭირებული აქვს და ექიმები ამბობენ, რომ ავადმყოფობა ფილტვებზე გადავიდაო.

პარიჟი. ანდრაშიმ არ ისურვა დელეგაციის წევრობა. ამ გარემოებამ ყველანი ძალიან გააკვირვა. მიზეზი არავინ იცის.

პეტერბურგის ბირჟა, 31 მაისი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 18 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $274^3/_4$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
თიბათვე 30 დღით არის.

4 დღე შაბათი. წმ. მიტროფანესი და ზოსიმესი. კათოლ. ფრანცისკასი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში პირველად მოხდა თავად-აზნაურთა კრება და წინამძღოლად ამოირჩიეს თავ. გარსევან ჭავჭავაძე, 1803 წ.—გაზეთ „ამიერ-კავკასიის“ რედაქტორმა იოსელიანმა მთავარ-მმართებელის კანცელარიის დირექტორს აცნობა, რომ რუსულს ენაზედ გამოცემულს „უწყებათა“ 1845 წ. (გამოცემის მე-4 წელს) 2 ხელის-მომწერელი ჰყავდა, ხოლო 1846 წელს-კი არც ერთიო; თათრულს ენაზედ-კი 1845 წ. ჰყავდა 14, 1846 წ.—5.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—37. მთვარე 8 დღისაა.

5 დღე კვირა. წამ. აპოლონისა და ნიკანორისა. კათოლ. ბონიფაციასი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 9 დღისაა.

6 დღე ორშაბათი. ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა და ილარიონ დალმათელისა. კათოლ. ეპისკ. კორბერტისა და ეპისკ. კლავდიასი. მუსულმ. მე-9 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 10 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიმ როა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი | თ | დ | ი | ლ | ი თ |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დ | ღ ი | ს ი | თ | | დ | ა | მ ი | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | „ |
| „ 2 „ | $2^1/_2$ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | $3^1/_2$ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:
ისტორიული მოთხრობა
ქართველთა ცხოვრებიდამ
„მარინე“,
გადმოკეთებული
ვალიკო გუნიას მიერ.
ფასი ექვსი შაური.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო
წიგნი
**ხუთი ამბავი,**
ან. თუმანიშვილისა.
ფასი სამი შაური.
ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში ქუთაისში—ჭილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური“. (10—4)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის საჩხაისა
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.
**ქარხანა**
ბ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში
(50—50)

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა
**ვაზისობი**
(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
გ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ თიბათვის 2 დამ ამა წლისა დაიწყებს სიარულს კარგად და ფაქიზად მოწყობილი ახალი
**დილიჟანი**
გორიდამ მეჯვრისხევში ყოველ დღე. გორიდამ გავა ნაშუადღევის ოთხის ნახევარზედ, მეჯვრისხევიდამ—დილით შვიდ საათზედ. დილიჟანი დადგება გორში, იაკობ ევნატაშვილის დუქანთან; მეჯვრისხევში თიწალა მეჩითოვის დუქანში. ფასი: გორიდამ მეჯვრისხევში და მეჯვრისხევიდამ გორში ორ-ორი აბაზი (40 კ.).
ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოლოვი.
(7—2)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
**თავის მკურნალი**
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.
წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.
ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.
ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—19)

ისყიდება ქალაქ ქუთაისში, ჭილაძისა და მურადოვის მაღაზიაში, წიგნი
**არჩილიანი**
ანუ
მეფე თეიმურაზ პირველის ცხოვრება, ისტორიული პოემა და სხვა ლექსები, თქმულნი მეფე არჩილ მეორეს მიერ. (3—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
**წიგნთ-საწყობში**
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |

ტფილისში
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება
მ. ჯანაშვილის მიერ
შედგენილი წიგნები:
ა) საქართველოს საეკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);
და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).
შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმყოფება ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რამე საქმე ექნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართოს: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—21)


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე